Interest in his extraordinary personality arose among artists only in the second half of the XX century and has not weakened to this day. There are a series of graphic portraits of I.G. Yalguzidze by the artist G.S. Kotaev and his painting Os-Bagatar, busts of the sculptor V.V. Pliev, as well as illustrations for the first edition in Russian of “one of the most mysterious ancient songs – a Poem about Arguz” by the artist V.A. Bijelov. Artists of the new generation V.E. Pukhaev, U.T. Kadzov are increasingly turning to the personality of Os-Bagatar, again and again discovering for themselves and for us, the audience, the legendary personality sung by I.G. Yalguzidze.

**ნინო პოპიაშვილი**

*ფილოლოგიის დოქტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თბილისი, საქართველო*

## **ოსური ენის სწავლება სკოლაში: ენის სტატუსი და სწავლების თავისებურებები**

ოსური ენის სწავლებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა განსხვავებული იყო როგორც ოსური ენის სტატუსი, ისე მისი სწავლების მეთოდოლოგია. ამჟამად ოსური ენა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე სკოლაში ისწავლება. მათ შორის არის ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფ. არეშფერნის, ფონასა და წიწკენაანთსერის სოფლები, ასევე, დევნლთა დასახლებები კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონებში კომპაქტურად ცხოვრობენ ოსები და შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების წარმომადგენლები.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სტატუსი აქვს ოსურ ენას, რა მეთოდებით ისწავლება და რამდენად განსხვავდება ოსური ენის სწავლება სკოლებში. ამ მიზნით შევექმენით პედაგოგების ფოკუს ჯგუფი და ჩავატარეთ ჩადრმავებული ინტერვიუები.

კვლევამ აჩვენა, რომ ოსური ენის სწავლება კახეთის რეგიონისა და ქართლის რეგიონის სკოლებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში ოსუ-

რი ენის სწავლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით მიმდინარეობს, ხოლო კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში - დევნილთა დასახლებებში - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ეგიდით. განსხვავდება სწავლების საათობრივი ბადაც.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ჩვენი კვლევის ძირითად შედეგებზე. წარმოვადგინოთ ოსური ენის სწავლების თანამედროვე ვითარებას ენის სტატუსთან და სწავლების თავისებურებებთან კავშირში.

**Nino Popiashvili**

*Dr. of Philology*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Tbilisi, Georgia*

## **TEACHING THE OSSETIAN LANGUAGE IN SCHOOL: LANGUAGE STATUS AND TEACHING PECULIARITIES**

Teaching the Ossetian language in Georgia has a long history, but both the status of the Ossetian language and its teaching methodology differed. At present, the Ossetian language is taught in several schools in the territory controlled by Georgia. Among them are the villages of Lagodekhi and Kvareli municipalities, the villages of Areshperni, Pona and Tsitskenaantseri, as well as refugee settlements in Kaspi and Gori municipalities of. It is worth noting that Ossetians and representatives of mixed Georgian-Ossetian families live compactly in these regions.

For our research, it is important to define what status the Ossetian language has, by what methods it is taught, and how different is the teaching of the Ossetian language in schools. In view of this, we created a focus group of teachers and conducted in-depth interviews.

The research showed that teaching of the Ossetian language in the schools of Kakheti and Kartli regions is provided in different ways. The Ossetian language is taught in Lagodekhi and Kvareli municipalities under the auspices of the Ministry of Education and Science of Georgia, and in Kaspi and Gori municipalities - in refugee settlements - under the auspices of the administration of South Ossetia. The hourly training schedule also varies.

In this report, we will discuss the main findings of our research. We will present the current state of teaching the Ossetian language in connection with the language status and teaching peculiarities.

**А.М. Пухаев, З.Ю. Кулова**

*преподаватели Владикавказского колледжа  
экономики и права*

## **МОДЕЛИРОВАНИЕ РЯДА ДИНАМИКИ ЧИСЛА ЗАРАЗИВШИХСЯ И ВЫЗДОРОВЕВШИХ ОТ КОРОНАВИРУСНОЙ ИНФЕКЦИИ ПО РСО-АЛАНИЯ**

1.Статья посвящена моделированию числа заразившихся и выздоровевших от коронавирусной инфекции по РСО-Алания. В статье рассматриваются статистические данные по РСО-Алания с 01.02.2021 по 13.03.2021. Посторонние математической модели временного ряда осуществляется по показателям сорока одного последовательных моментов времени.

2. Качество модели оценивается с помощью коэффициента детерминации и средней ошибки аппроксимации. Коэффициент детерминации:

$$R^2 = r^2 = 0,976630642323556.$$

Регрессионная модель на 98% объясняет дисперсию числа заразившихся коронавирусной инфекцией в зависимости от времени. Остальные 2% приходятся на долю неучтенных в модели факторов.

3. Среднее отклонение расчётных значений числа заразившихся коронавирусной инфекцией от времени при допустимом пределе значений указанного показателя качества построенной модели – до 8-10 %:

$$\bar{A} = \frac{1}{n} \sum \left| \frac{\hat{y}_i - y_i}{y_i} \right| \cdot 100\% = 5,14\%$$

Гипотеза  $H_0$  о статистической значимости уравнения линейной тенденции подтверждается расчетным значением  $F$ -критерия Фишера, превышающим табличное значение того же критерия при 5% -ом уровне значимости.

$$1629,05203 > 4,091270550$$

4. Использование математической модели построенного ряда динамики позволяет составить интервальный прогноз на ближайшие моменты времени.

Средняя стандартная ошибка

$$m_{y_t} = \sqrt{1 + \frac{1}{8} + \frac{(t_p - \bar{t})^2}{\sum (t - \bar{t})^2}} = 311,5601$$

$$ЛПИ = \hat{x} - m_{y_t} * T_{tabl} = 14,2176198$$

$$ППИ = \hat{x} + m_{y_t} * T_{tabl} = 22,28377393$$

Если прогнозное значение числа заразившихся коронавирусной инфекции увеличится на 5% от своего среднего уровня (18 человек), то число заразившихся попадет в интервал от **14** до **22** при уровне значимости 0,05.

**A.M. Pukhaev, Z.IU. Kulova**

*Teachers at Vladikavkaz college*

*Economics and Rights*

## SIMULATION OF A NUMBER OF DYNAMICS OF THE NUMBER OF INFECTED AND RECOVERED FROM CORONAVIRAL INFECTION BY RSO-ALANIA

1. The article serves as a modelling for the number of people infected and recovered from coronavirus infection according to RSO-Alania. The article discusses statistics on RSO-Alania from 01.02.2021 to 13.03.2021. The mathematical model of the time series is settled according to the indicators of forty-one consecutive moments of time.

2. The quality of the model is evaluated using a determination factor and an average approximation error. Determination Factor:

$$R^2 = r^2 = 0,976630642323556.$$

A regression model explains at 98% the variance in the number of people infected with coronavirus infection as a function of time. The remaining 2% is accounted for by unrecorded factors in the model.

3. Average deviation of the calculated values of the number of people infected with coronavirus infection from the time at the permissible limit of the values of the specified quality indicator of the constructed model - up to 8-10%:

$$\bar{A} = \frac{1}{n} \sum \left| \frac{\hat{y}_i - y_i}{y_i} \right| \cdot 100\% = 5,14\%$$

The  $H_0$  hypothesis of the statistical significance of the linear trend equation is confirmed by the calculated Fisher  $F$ -test value exceeding the table value of the same criterion at a 5% significance level.



1629,85203 > 4,091278558

4. Using the mathematical model of the constructed series of dynamics allows you to make an interval forecast for the nearest moments of time.

Average standard error

$$m_{\bar{x}} = \sqrt{1 + \frac{1}{8} + \frac{(x_p - \bar{x})^2}{\sum(x - \bar{x})^2}} = 311,5601$$

$$A_{FH} = \bar{x} - m_{\bar{x}} * T_{tabl} = 14,2176198$$

$$B_{FH} = \bar{x} + m_{\bar{x}} * T_{tabl} = 22,28377393$$

If the predicted number of people infected with coronavirus infection increases by 5% of their average level (18 people), then the number of people infected will fall within the interval from 14 to 22 at the level.

## ნინო რუხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, მოწვეული დოცენტი

### ზმნური ფუძეთქმნადობის ზოგიერთი საკითხი უდიურ ენაში

უდიურ ენაში ცალკეული ძირისაგან ფუძეთა წარმოქმნის მექანიზმი, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ტრადიციულ წესს ექვემდებარება და სათანადო აფიქსების გამოყენებას გულისხმობს.

უდიურში ცალკეულ ზმნაში ფუძეთქმნადობის პროცესი ამ ტრადიციულ წესს არ ემორჩილება და თავისებურ წარმოებას გვიჩვენებს. მაგალითად, „სვლასთან“ დაკავშირებული ფუძეები, უდიურში იწარმოება არა აფიქსური მორფემებისა და სხვადასხვა ფორმანტის დართვით, არამედ ძირეული მორფემის, ანუ ამოსავალი, ძირეული ელემენტის სტრუქტურული ცვლილებებით. ეს ცვლილებები იმდენად მასშტაბურია, რომ სხვადასხვა ძირისგან ნაწარმოები ფუძეების შთაბეჭდილებას ქმნის და არა საერთო, ერთი ძირისაგან წარმოქმნილი განსხვავებული აგებულების ფუძეებისა.

„სვლა“ ძირისაგან ნაწარმოები ფუძეები უდიურში ადგილ-მიმართულების ჩვენებით ასეთი სახითაა წარმოდგენილი: ე-სუნ „მოსვლა“-თაჲ -სუნ/თა-სუნ „ნასვლა“, ლაჲ-სუნ „ასვლა“- ტი-სუნ „ჩა-სვლა“,ჭე-სუნ „გა-სვლა“-ბაჲ-სუნ/ ბა-სუნ „შესვლა“.

აღნიშნულ ზმნათა ეტიმოლოგიური ძიება ვრცლად წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში .

## Nino Rukhadze

Senior specialist at the Institute of Caucasology,  
Faculty of Humanities,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Guest Lecturer

### SOME ISSUES OF VERB CONJUGATION IN THE UDI LANGUAGE

The mechanism for the formation of stems from a single root in the Udi language, as in other Ibero-Caucasian languages, is subject to the traditional rule and involves the use of appropriate affixes.

In Udi, the process of root formation in a single verb does not obey this traditional rule and shows a peculiar production. For example, the stems associated with "movement" are produced in Udi not by

affixing affix morphemes and various formats, but by structural changes of the root morpheme, or starting, root element. These changes are so significant that they give the impression of stems produced from different roots and not of common, differently constructed stems derived from a single root.

The stems derived from the root "svla" are represented in Udi by showing the place-direction.

The etymological search for these verbs will be presented in detail in the paper.

## ალექსანდრე რუსეცი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური  
მოდელირების დაბოთაგოხია, ასოციირებული პროფესორი  
თბილისი, საქართველო

### „ცხინვალის კრიზისის“ პოზიტიური ტრანსფორმაცია მეტაკოგნიტური მართვის თეორიის ქრილში

„ცხინვალის კრიზისი“ - რთული მრავალნახნაგოვანი კონფლიქტი, რომელიც წარმოადგენილია ეთნიკური, პოლიტიკური (გეოპოლიტიკური), ეკონომიკური, რელიგიური და ლინგვისტური კომპონენტებით. მარტივი კონფლიქტებისგან განსხვავებით, იგი წარმოადგენს კონფლიქტთა სისტემას და ყოველივე მაგ სისტემას შეესაბამება თავისი სტრუქტურა. ამიტომ ფიქსირდება კონფლიქტის საგანთ და ობიექტთა სიმრავლე.

მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ რთული კონფლიქტის რედუქციონისტულის დაყვანა ერთ ცალკეულ კომპონენტამდე წარმოადგენს ქმედებას, რომელიც აფერხებს პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესს.

მაგალითად „ცხინვალის კრიზისი“ არ დაიყვანება მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტამდე, ან მხოლოდ რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საერთაშორისო სახელმწიფოთა შორის კონფლიქტამდე. ის მოიცავს ყოველივე ამ კონფლიქტს.

სამწუხაროდ, არსებული სამეცნიერო და პოლიტიკური დისკურსი ატარებს რედუქციონისტულ ხასიათს რაც აფერხებს ამ კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციას.

ეს ყველაფერი დაკავშირებულია კოგნიციურ პრობლემატიკასთან, რომელიც აისახება სამეცნიერო ნაშრომებში და პუბლიცისტიკაში.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ჩარჩოში, შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ეროვნული ფონდის მხარდაჭერით 2019-2021 წლებში, ავტორის სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში შეიქმნა კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორია, რომელიც წარმოგვიდგენს ასეთი ტიპის კრიზისების მართვის პოლისტურ და არა რედუქციონისტულ მიდგომას.

თეორია ამახვილებს ყურდღებას ასევე მეცნიერების განსაკუთრებულ როლზე და შესაძლებლობებზე სამშვიდობო პროცესების დაგეგმარების და ორგანიზების პროცესში. მასში გამახვილებულია ყურადღება მეცნიერების სოციალურ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესებთან მიმართებაში.

თეორია გვთავაზობს მეცნიერების და განათლების სისტემების ისეთ აქტიობას, რომელიც ორიენტირებულია კრიზისების პრევენციზე და/ან პოზიტიური ტრანსფორმაციისაზე.

მოხსენების მიზანია - მეცნიერების ფართე სპექტრის ინფორმირება იმ ახალი შესაძლებლობების შესახებ, რასაც იძლევა „კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორია“.

მთავარ ამოცანად წარმოადგენილია „ცხინვალის კრიზისის“ განმარტება და მისი პოლიტოლოგიური მოდელის წარმოდგენა კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის პოლისტური პრინციპებიდან გამომდინარე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ თეორიის მიხედვით მიმდინარეობს იმ გამოუყენებელი შესაძლებლობების წარმოდგენა, რომელიც არაა დღემდე ღირსეულად წარმოდგენილი სამეცნიერო და პოლიტიკურ სამშვიდობო დისკურსში.

## **"POSITIVE TRANSFORMATION OF THE TSKHINVALI CRISIS IN THE CONTEXT OF METACOGNITIVE MANAGEMENT THEORY"**

"Tskhinvali Crisis" - a complex multifaceted conflict, which is represented by ethnic, political (geopolitical), economic, religious and linguistic components. Unlike simple conflicts, it is a system of conflicts and each system has its own structure. Therefore, the subject matter of the conflict and the abundance of objects are fixed.

The main problem is that reducing the reductionist of a complex conflict to a single component is an action that hinders the process of positive transformation.

For example, the "Tskhinvali crisis" will not be reduced to a conflict only between ethnic groups, or only to international conflict between the Russian Federation and Georgia. It covers all of these conflicts.

Unfortunately, the existing scientific and political discourse is of a reductionist nature which hinders the positive transformation of this crisis.

It all has to do with cognitive problems that are reflected in scientific and public papers.

Within the framework of the Doctoral Program in Political Science of Caucasus International University, with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation in 2019-2021, the author's dissertation on the theory of metacognitive conflict management was developed, which presents a holistic rather than reductionist approach to crisis management.

The theory also draws attention to the special role and capabilities of science in the process of planning and organizing peace processes. It focuses on the social responsibility of science in relation to these processes.

Theory suggests the activity of science and education systems focused on crisis prevention and / or positive transformation.

The aim of the report is to inform a wide range of science about the new possibilities offered by the "theory of metacognitive conflict management".

The main task is to explain the "Tskhinvali crisis" and present its political model based on the holistic principles of the theory of meta-cognitive management.

Of particular interest is the fact that, according to the theory, unused opportunities are being presented that are not yet adequately represented in the scientific and political peace discourse.

**ნინო საბაძე**  
ინგლისური ენის მასწავლებელი  
თბილისი, საქართველო

### **ქუდაგ ძესთის „პურის მომტანი და ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ კომპარატივისტულ შრილში**

უბრალო ადამიანების ცხოვრება, რომელიც ათასი ფიქრით, საზრუნავითა და გასაჭირით არის სავსე, თითქოს საინტერესოს არაფერს გვეუბნება, იქამდე მაინც, სანამ რაიმე ტრაგედია არ მოხდება. ტრაგედია კი ყურადღებას იქცევს, ინტერესს ამძაფრებს და ყველაფერი, რასაც ყოველდღიურობაში ვერ ვხედავდით, ახლა ადვილად აღსაქმელი და დასანახი ხდება.

ერთი რამ, რაც ოსი მწერლის ქუდაგ ძესთისა და ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებს აერთიანებთ, არის უკიდურესი გაჭირვება, მოკლედ ნათქვამ ფრაზებში ჩატეული მთელი ტრაგედია, ტკივილი, სასოწარკვეთა და უღონობა. სწორედ ეს ფრაზები მთელი სიმ-

დაფრით დაგვანახებს ყველა იმ დღეს, რომელიც ამ ადამიანებს გამოუვლიათ, საშინელებას, რომელსაც ყოველდღიურობაში გადიოდნენ, ტკივილი, რომელიც გულს უღრღნიდათ და ყოფა, რომელსაც ნამდვილად არ ჰქონდა გამოსავალი. ყოველდღიური ბრძოლა გადარჩენისათვის და თავგანწირული ბრძოლა სიკვდილთან.

ქუდაგ ძესთის მოთხრობაში „პურის მომტანი“ და ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში „ტრაგედია უგმიროდ“ ჩანს მამა, რომელიც ცდილობს გადაარჩინოს თავისი ოჯახი, დაიფაროს შიმშილით სიკვდილისაგან. ამ ბრძოლაში კი კარგავენ ძალას და საბოლოოდ მდგომარეობა იმდენად უკონტროლო ხდება, რომ აღარც იციან რა ქნან ან რა ილონონ და ყველაფერი მიშვებული აქვთ.

უკიდურესი გასაჭირის, მამის ტკივილისა და ტკივილნარევი ფრაზების გარდა, არის კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი, ორივე მამა ხედავს თავისი ოჯახისა და შვილების ბედნიერ სახეებს, მათ სიხარულს და ჟრიაბულს, ხედავენ ყოველ ჯერზე, როცა თავს უფლებას აძლევენ ოცნებებში წავიდნენ. როცა ილუზიების ტყვეობაში იკარგებიან, რადგან ცოტა ხნით მაინც დააღწიონ თავი იმ აუტანელ ყოფას, რომელშიც აღმოჩნდნენ. მათ ძალიან კარგად იციან რას ნიშნავს, როცა შინ გელოდებიან, თანაც ბავშვები. ისინი ელიან არა საჩუქრებს ან რაიმე გასაოცარსა და განსაკუთრებულს, არამედ საჭმელს. მათ მხოლოდ საკვები სჭირდებათ, რომ დაივიწყონ შიმშილი, მუცლებს რომ ასე უწვავთ და სიმწრის ცრემლები, რაც ფიზიკურ ტკივილებს მოაქვს.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორივე მოთხრობაში ასახულია გაჭირვება, სიდუხჭირე, ოცნებებში გაქცევა, რეალობისგან თავის დასაღწევად. მტკივნეულად ნათქვამი სიტყვები, რომლებიც გგონია, რომ სადღაც ყელში იჭედებოდნენ, ვეღარ ამბობდნენ და ცალკეულ ფრაზებად ძლივს ამოთქვამდნენ. მშობლები, მამები, მათი უმწეობა, უიმედო და თავგანწირული ბრძოლა. ბრძოლა, რომელიც უშედეგოა.

და ბოლოს, რაც ამ ორ მოთხრობას აერთიანებს, არის სიკვდილი. სიკვდილი, რომელიც გარდაუვალია და ეს შედეგი აუცილებლად დადგება. ეს შედეგი დადგება არა ერთი ადამიანისათვის, არამედ ცოცხლად დარჩენილებისათვისაც და მათ ბედს განსაზღვრავს. უიმედო სიტუაციაში დარჩენილი ოჯახი და შიმშილით სიკვდილისთვის განწირული ბავშვები, რომლებიც იმედით შესცქეროდნენ მარჩენალ მამას.

**Nino Sabadze**

*English teacher*

*Tbilisi Georgia*

## **IN THE COMPARATIVE CONTEXT OF KUDZAG DZESTI'S "BREAD BRINGER" AND NIKO LORTKIPANIDZE'S "TRAGEDY WITHOUT HEROES"**

The lives of ordinary people, which are full of a thousand thoughts, worries and hardships, seem to tell us nothing interesting, at least not until any tragedy happens. Tragedy draws attention, intensifies interest, and everything that we did not see in everyday life is now easily perceived and seen.

One thing that unites the stories of Ossetian writer Kudzag Dzesti and Georgian writer Niko Lortkipanidze is the extreme hardship, the whole tragedy, pain, despair and helplessness contained in the short phrases. It is these phrases that will show us in all their intensity all the days that these people have gone through, the horrors that they went through in their daily lives, the pain that broke their hearts and the existence that really had no way out. A daily struggle for survival and a selfless struggle to the death.

In the story of Kudzag Dzesti "Bread Bringer" and in Niko Lortkipanidze's miniature "Tragedy without a Hero" the father is seen trying to save his family, to cover himself from starvation to death. In this battle, they lose their strength and eventually the situation becomes so uncontrollable that they no longer know what to do or what to do and everything is allowed.

In addition to extreme distress, fatherly pain, and painful phrases, there is another common feature, both fathers see the happy faces of their families and children, their joys and sorrows, they see every time

they are allowed to go into dreams. When they are lost in the captivity of illusions, because at least for a while they escape from the unbearable life in which they find themselves. They know very well what it means when they are waiting for you at home, including children. They expect not only gifts or something amazing and special, but also food. They just need food to forget about hunger, belly burning and scarlet tears that bring physical pain.

Especially interesting is the fact that both stories depict hardship, misery, escape in dreams, to escape from reality. Painfully said words that you thought were stuck somewhere in the feed could no longer be said and could hardly be uttered in separate phrases. Parents, fathers, their helplessness, hopeless and selfless struggle. A struggle that is futile.

And finally, what unites these two stories is death. A death that is inevitable and this result will surely come. This result will stand not only for one person, but also for the survivors, and will determine their fate. A family left in a hopeless situation and children doomed to starvation to death, hoping for a foster father.

## ირინე საგანელიძე

საქართველოს კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო  
თბილისი საქართველო

### ქართულ-ოსური შემოქმედებითი თანამშრომლობა ფილმების - „ფატიმასა“ და „ჩერმენის“ მიხედვით

ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამოხატვის ერთ-ერთი თვალსაჩინო საშუალებაა კინოხელოვნებაში შემოქმედებითი თანამშრომლობა. კინოენის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა ერის დრამატურგიული მასალის არა მხოლოდ სახოვნად ამეტყველება, არამედ მისი თემატიკისა და იდეის განზოგადება და ზოგადად ადამიანური რაკურსით გამოკვეთა, რაც ზრდის კინოპროდუქციის იდეურსა და მხატვრულ ღირებულებას. ამგვარი წარმატებული შემოქმედებითი თანამოღვაწეობის თვალსაჩინო ნიმუშებია ს. დოლიძე/ ვლ. ვალიშვილისა და ნ. სანიშვილის მიერ ოსური პიესების - კ. ხეთაგუროვის „ფატიმასა“ და გრ. ფლიევის „ჩერმენის“ მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმები. გარდა იმისა, რომ ქართველი კინორეჟისორები დაინტერესდნენ სწორედ ოსური დრამატურგიით, ფილმების შემოქმედებით ჯგუფში ქართველებთან ერთად მრავლად იყვნენ ოსებიც (მსახიობები, ტექნიკური პერსონალი). „ფატიმა“ (1958 წ.) და „ჩერმენი“ (1970 წ.) კლასიკური ილუსტრაციაა იმისა, რომ კინოხელოვნება საერთოდ ღიაა შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის, ამასთან, ის ეროვნებათშორისი ურთიერთობის განმტკიცებისა და ზოგადად საკაცობრიო ჰუმანური იდეების წარმოჩენის საუკეთესო კულტურული სივრცეა.

კ. ხეთაგუროვის პიესის მიხედვით ს. დოლიძის სცენარით გადაღებულ „ფატიმაში“ გადმოცემულია ე. წ. სასიყვარულო სამკუთხედის - ფატიმას, მისი შეყვარებულის- მოჭამაგირე ჯამბულათისა და მისი მოქიშპე - თავადის ვაჟის - იბრაჰიმის ტრაგიკული ისტორია, რაც სრულდება ჯამბულათის მიერ ფატიმაზე დაქორწინებული იბრაჰიმის მკვლელობითა და მისი სიკვდილით შეძრული ფატიმას გაგიჟებით.

ეს ფილმი სიყვარულზე, ოჯახისადმი ერთგულებასა და ადამიანური შურისძიების ზოგად ადამიანურ ისტორიას მოგვითხრობს.

გრ. ფლიევის სცენარის მიხედვით ნ. სანიშვილის ფილმი „ჩერმენი“ ეფუძნება ოსურ ფოლკლორს და მასში გადმოცემულია რევოლუციამდელ პერიოდში ოსი ხალხის თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი ჩერმენის ტრაგიკული თავგადასავალი, ასევე თანადროული სინამდვილე, ოსი ხალხის ტრადიციები და საბრძოლო სულიკვეთება.

საკვლევი თემის მიზანი სწორედ ქართულ-ოსური შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნილ ამ კინონიმუშთა იდეურ-მხატვრული ანალიზი და იდეოლოგიზებულ საბჭოთა ეპოქაში ამგვარი თანამშრომლობის შედეგად შექმნილი კინოპროდუქციის მიმართ სახელმწიფო მიდგომების წარმოჩენაა. ამისთვის ფილმების ჩვენეულ ანალიზთან ერთად გამოყენებულ იქნა სხვა ხელოვნების სასახლეში/კულტურის ისტორიის მუზეუმში დაცული ამ ფილმებთან დაკავშირებული უცნობი საარქივო--დოკუმენტები, რომლებიც წარმოაჩენს ფილმების გადაღების საწარმოო პროცესის დეტალებს, ამასთან, საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლებისა და ხელოვანთა შემფასებლურ პოზიციებს.

**Irine Saganelidze**

*Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia  
Tbilisi, Georgia*

## **GEORGIAN-OSETIAN CREATIVE COLLABORATION ACCORDING TO MOVIES “FATIMA” AND “CHERMEN”**

Creative collaboration in cinematography is one of the most prominent ways for expressing inter-ethnic relations. It is possible to show figuratively dramatical material of various nations through movies, generalize themes , ideas and to outline them from general human perspective which increases the ideological and artistic values of film production. Distinguished examples of such successful creative collaborations are S.Dolidze’s and Vl.Valiashvili’s films based on Osetian plays of K.Khetagurov’s “Fatima” and Gr.Fliev’s “Chermen”. Movies were produced in “Georgian Film” .Georgian film directors were interested in Osetian dramaturgy , they invited Osetian actors and technical stuff to participate in creative team together with Georgians.”Fatima” (1958 ) and “Chermen” (1970 ) are classic illustrations that cinematographic art is really open to creative collaboration and is the best cultural space for strengthening inter-ethnic relations and presenting universal human ideas.

“Fatima” was based on K.Khetagurov’s play and S.Dolidze’s script. It is a tragic story of so-called amorous triangle. Fatima is in love with a farm-labourer Jambulat.Ibrahim,a lord’s son, is his rival. The film ends with Fatima’s husband Ibrahim’s murder by Jambulat.The husband’s death causes Fatima’s madness. The film is about love, devotion to the family and human revengefulness.

N.Sanishvili’s film “Chermen”by Gr.Fliev’s script is based on Osetian epic and is about Chermen- the hero who fought for freedom of Osetian people in pre-revolutionary period. The film demonstrates a contemporary reality, traditions of Osetian people and their fighting spirit.

The aim of the research topic is demonstrating ideological-artistic analysis of films produced in Georgian-Osetian creative collaboration and stating approaches to film production created as the result of such collaboration during the Soviet epoch. Unknown archival documents related to production of those films were used. They provide details of filmmaking process and illustrate evaluative positions of certain representatives of the society and artists.

## გიორგი გაგლოევი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი (თეზისები)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 ჩატარდა. დამფუძნებელი კრების ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთაგან სამი ოსი ეროვნების იყო: გიორგი გაგლოევი, კონსტანტინე პანიევი, ალექსანდრე ფარნიევი. სანამ დამფუძნებელი კრების წევრი გახდებოდა, გიორგი გაგლოევმა საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო. გიორგი ალექსის ძე გაგლოევი, 1883 წლის 7 ნოემბერს, გორის მაზრის სოფელ ჭარებში დაიბადა. მან დაწყებითი განათლება გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1903 წლიდან, იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. 1906 წლიდან მუშაობდა მოსკოვისა და თერგ-დალესტინის პარტიულ ორგანიზაციებში, საიდანაც 1907 წელს რსდმპ ლონდონის ყრილობაზე დელეგატად აირჩიეს.

1908–1912 წლებში, გ. გაგლოევი საზღვარგარეთ – გერმანიასა და შვეიცარიაში ცხოვრობდა, სადაც მანჰაიმის და დავოსის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობდა. მან გერმანიის მანჰაიმის უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლის კურსი ელექტროტექნიკოსის სპეციალობით დაამთავრა.

გ. გაგლოევი 1917 წლიდან ოსეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციათა მე-8 ყრილობამ სეიმის დეპუტატების დამატებითი არჩევნები ჩაატარა, რის შედეგადაც, 1918 წლის თებერვლიდან გ. გაგლოევი ამიერკავკასიის სეიმის წევრი გახდა. 1918 წლის განმავლობაში, იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი იყო.

1919 წლის 12 მარტიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით.

საქართველოს დამფუძნებელმა კრების პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა. დამფუძნებელ კრებაში გ. გაგლოევი გზათა კომისიის წევრი იყო. იგი აქტიურად ჩაერთო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ინიციატივით, 1920 წლის 28 მარტის დამფუძნებელი კრების სხდომაზე განიხილეს დეკრეტი გზათა უწყების მოსამსახურეთა დღიური ანაზღაურების გაზრდის შესახებ. მისი ინიციატივის სფერო, ასევე, რკინიგზის სადგურების გაფართოების საკითხები იყო.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა 1921 წლის 17 მარტს ბათუმში გაიმართა. რუსეთის წითელი არმიის მიერ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის გამო, სხდომამ საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლას დაუჭირა მხარი.

გ. გაგლოევი, ოკუპაციის შემდეგ საქართველოში დარჩა და პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოსცილდა. იგი გაემიჯნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, რომლის მიზანი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 1930 წელს გ. გაგლოევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. მიუხედავად ამისა, 1937-1938 წლების დიდი საბჭოთა ტერორის დროს საბჭოთა რეპრესიებს ვერ გადაურჩა. იგი ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს, ხოლო 1937 წლის ნოემბერში დახვრეტეს.

**GIORGI GAGLOEV MEMBER OF THE CONSTITUENT ASSEMBLY OF THE DEMOCRATIC  
REPUBLIC OF GEORGIA  
(THESES)**

Elections to the Constituent Assembly of the Georgian Democratic Republic took place on February 14-16, 1919. Three of the national minorities in the Constituent Assembly were Ossetians. These are: George Gagloev, Konstantin Paniev, Alexander Farniev. Before becoming a member of the Constituent Assembly, Giorgi Gagloev went through a rather difficult and interesting path. Giorgi Gagloev was born on November 7, 1883, in the village of Charebi, Gori region (Georgia). He received his primary education at the Gori Theological school, then continued his studies at the Tbilisi Theological Seminary. Since 1903, he has been a member of the Russian Social Democratic Labor Party. From 1906 he worked in the party organizations of Moscow and Terg-Dagestan, from where in 1907 he was elected as a delegate to the London Congress of the RSDLP (Russian Social Democratic Labor Party). In 1908-1912, G. Gagloev lived abroad - in Germany and Switzerland, where he worked in the social - democratic organizations of Mannheim and Davos. He graduated from the Mannheim Higher School of Engineering in Germany with a degree in electrical engineer.

G. Gagloev was elected as a chairman of the Ossetian National Council in 1917, and in November 1917 he became a member of the National Council of Georgia. The 8th Congress of the South Caucasus organizations of the RSDLP held additional elections of the Seim, as a result of which, in February 1918, G. Gagloev became a member of the Transcaucasian Seim. In 1918 he was a member of the Parliament of the Democratic Republic of Georgia. On March 12, 1919, he was elected as a member of the Constituent Assembly of the Republic of Georgia from the list of the Social - Democratic Labor Party of Georgia.

The first session of the Assembly of Georgia opened on March 12, 1919. G. Gagloev was a member of the Road Commission in the constituent assembly. He actively participated in the political life of Georgia. On his initiative, at the meeting of the Constituent Assembly on March 28, 1920, a resolution was discussed to increase the daily wages of road workers. He was, also, interested for the expanding of railway stations.

The last meeting of the Constituent Assembly of Georgia was held on March 17, 1921 in Batumi. Due to the occupation of the Democratic Republic of Georgia by the Russian Red Army, the session supported the Georgian government's emigration.

After the occupation of Georgia by the Russian Red Army, G. Gagloev stayed in Georgia and left politics. He distanced himself from the August 1924 rebellion, whose purpose was to restore the lost independence of Georgia. In 1930 he became a member of the Communist Party of the Soviet Union. However, during the Great Soviet Terror of 1937-1938, he was unable to avoid Soviet repression. G. Gagloev was arrested on espionage charges and shot in November 1937.



## ოჯახის მფარველის სახეობრივი და ფუნქციური გააზრება ქართული და ოსური მასალების მიხედვით

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს ქართველებისა და ოსების მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების მსგავსებას. ერთ-ერთი საინტერესო სახეა ოჯახის მფარველი სული, რომელსაც ქართველები ფუძის ანგელოზს უწოდებენ, ოსები - ბინათი ხიცაუს (დიასახლისს). მათი საერთო ნიშნებია ღვთაებრიობა, მდედრობითობა, ნაყოფიერებების ფუნქცია და ადამიანის/ოჯახის მფარველობა. სახეობრივი გააზრების ფორმებიდან ზოომორფული საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. ქართველებიცა და ოსებიც მას უპირატესად განსაკუთრებული ნიშნების მქონე გველად წარმოიდგენდნენ.

საქართველოშიც და ოსეთშიც ოჯახის მფარველს ქალები ემსახურებოდნენ, განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ. იგი მფარველობდა ადამიანებს, მასზე იყო დამოკიდებული ოჯახის ბარაქა, კეთილდღეობა და სიმშვიდე. ნაყოფიერებასთან მის კავშირზე მიუთითებს სახლში მისი ადგილსამყოფელი- ოსებებს მიაჩნდათ, რომ ოჯახის მფარველი საკუჭნაოში ბინადრობს, ქართველების აზრით, მისი ადგილი კერასთან ან პურის შესანახ სკივრთანაა. ხალხის რწმენით, ოჯახის მფარველი ვერ იტანს უპატივცემულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სული დატოვებდა სახლს და თან წაიღებდა ოჯახის კეთილდღეობას. ამაზე მოგვითხრობენ ქართული და ოსური ხალხური გადმოცემები.

ოსეთში ბოლო დრომდე აღნიშნავდნენ ბინათი ხიცაუს ღამეს - ძველი სტილით ახალი წლის პირველი კვირის ოთხშაბათს. მას შავ ქათამს უკლავდნენ და მთელი ოჯახი იკრიბებოდა საკულტო სუფრასთან. სამეგრელოშიც ოჯახის მფარველის ღოცვა ოთხშაბათს ტარდებოდა, ქართლშიც ქათამს უკლავდნენ მისთვის განკუთვნილ დღეს. როგორც ოსებში, ისე ქართველებში ამ საკულტო დღეს მხოლოდ ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ და გარეშე პირს არ უმასპინძლებოდნენ.

ქართული და ოსური წარმოდგენებისა და საკულტო პრაქტიკის მსგავსება ამ ორი ხალხის მეზობლობისა და კულტურული კონტაქტების შედეგია.

**Ketevan Sikharulidze**

*TSU Faculty of Humanities  
Associate Professor of the Department of Folklore*

## IMAGINATIVE AND FUNCTIONAL UNDERSTANDING OF THE FAMILY PATRON ACCORDING TO GEORGIAN AND OSSETIAN MATERIALS

Observations on the folklore-ethnographic material show the similarities between the mythological-religious beliefs of Georgians and Ossetians. One of the interesting faces is the patron saint of the family, which Georgians call the Family Angel, Ossetians - the Binaty Khitsau (hostess). Their common features are divinity, femininity, fertility function, and the protection of a person / family. From species forms of understanding, zoomorphic turned out to be quite solid. Both Georgians and Ossetians considered him to be a snake with special features.

In both Georgia and Ossetia, women served as patrons of the family and were treated with special respect. He protected the people, on him depended the family wealth, prosperity and tranquility. Its

connection to fertility indicates its location in the house - Ossetians believed that the patron saint of the family lives in the pantry, according to Georgians, his place is near the hearth or bread box. According to people's beliefs, the patron saint of the family can not stand disrespect. Otherwise the spirit would leave the house and take with it the welfare of the family. Georgian and Ossetian folk tales tell us about it.

Until recently, Ossetia celebrated Binaty Khitsau's night - the old-fashioned Wednesday of the first week of the new year. He was slaughtered by a black chicken and the whole family gathered at the cult table. In Samegrelo, the prayer of the family protector was held on Wednesday, and in Kartli, chickens were slaughtered on the day dedicated to them. Both Ossetians and Georgians celebrated this cult day only with family members and did not host an outsider.

The similarity of Georgian and Ossetian religious beliefs and cult practices is the result of the neighborhood and cultural contacts of these two peoples.

## გიორგი სოსიაშვილი

გოჩის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხექვოხი  
პროფესორი

### „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი მარიამ პრიტვიცი და ჟურნალისტის ოჯახი

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გიორგი ჟურნალის დასთან-ნინო ჟურნალთან ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა "ვეფხისტყაოსნის" გერმანულ ენაზე მთარგმნელ მარიამ პრიტვიცს (ქალიშვილობის გვარი ჰუბერი). იგი დაიბადა 1876 წლის 2 ივლისს ბესარაბიის გუბერნიაში, ქ. კიშინიოვში. დაამთავრა ქ. ოდესის წმ. მარიამის სახელობის ქალთა საზოგადო გიმნაზიის 8 კლასი. შემდეგ სწავლობდა ქ. დრეზდენის ქალთა პირველ ლიცეუმში მათემატიკურ-გეოგრაფიული განხრით. მ. პრიტვიცმა ფართო ჰუმანიტარულ-ტექნიკური განათლება მიიღო, რაშიც ხელი შეუწყო უცხო ენების ათვისების თანდაყოლილმა ნიჭმა. იგი რამდენიმე ენას ფლობდა, მათ შორის: ფრანგულს, იტალიურს, რუმინულს, ლათინურს, პოლონურს, რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. სამეცნიერო მოღვაწეობა მ. პრიტვიცმა 1918 წელს დაიწყო, ხოლო ლიტერატურულ საქმიანობას კი 1894 წელს მიჰყო ხელი. სხვადასხვა დროს იგი როგორც ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი და მეცნიერ-მუშაკი მოღვაწეობდა კიევის განათლების კომისარიატში, სკოლებსა და კონსერვატორიაში. 1930 წელს კი ნავთობის გეოლოგიურ-დაზვერვით ინსტიტუტში გააგრძელა საქმიანობა. იგი მონაწილეობდა ვაშინგტონში ჩატარებულ გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესშიც. მ. პრიტვიცი ევროპული ენებიდან სამეცნიერო, თუ ლიტერატურულ ტექსტებს რუსულ ენაზე თარგმნიდა.

მ. პრიტვიცი ხშირად სტუმრობდა ნინო ჟურნალის ოჯახს როგორც თბილისში, ასევე არბოში. სწორედ არბოში ყოფნისას ურჩევია მარიამ პრიტვიცისთვის ნინოს ჟურნალს, რომ "ვეფხისტყაოსანი" გერმანულ ენაზე ეთარგმნა. როგორც ჩანს, მარიამ პრიტვიცს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დაწყება გერმანული ენის ღრმა ცოდნამ გააბედვინა. ნინო ჟურნალთან მარიამ პრიტვიცი საქართველოდან წასვლის შემდეგაც აგრძელებდა მეგობრულ ურთიერთობას. მას არაერთი წერილი აქვს გამოგზავნილი თავისი ქართველი მეგობრის სახელზე, სადაც თბილად იხსენიებს სტუმრად ყოფნის ეპიზოდებს, განსაკუთრებით კი ნინო ჟურნალის მშობლიურ სოფელში-არბოში გატარებულ დღეებს.

## **THE GERMAN TRANSLATOR OF *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN* MARIA PRITWITZ AND THE JURULI FAMILY**

The close relationship with the sister of the Minister of Finance and Trade-Industry of the First Republic of Independent Georgia Giorgi Zhuruli-Nino Zhuruli was connected with the German translator of "The Knight in the Panther's Skin"- Marie Pritwitz (maiden name Huber). She was born on July 2, 1876, in the province of Bessarabia, in Chisinau. She Graduated from St. Mary Odessa. 8th grade Women's Public Gymnasium. Then she studied in Dresden at the First Women's Lyceum majoring in Mathematics-geography. M. Pritwitz received a broad humanities-technical education, which was facilitated by her innate talent for mastering foreign languages. She was fluent in several languages, including: French, Italian, Romanian, Latin, Polish, Russian, German, and English. Marie Priteitz began her scientific activity in 1918, and began her literary career in 1894. At various times she worked as a bibliographer, translator and researcher at the Kiev Commissariat of Education, schools and conservatory. In 1930 she continued his work at the Petroleum Geological Exploration Institute. She also participated in the International Congress of Geologists held in Washington. M. Pritwitz translated scientific or literary texts from European languages into Russian.

M. Pritvits often visited Nino Zhuruli's family both in Tbilisi and in Arbo. While in Arbo, Nino's Zhuruli advised Marie Pritwitz to translate "The Knight in the Panther's skin" into German language. It seems that Marie Pritwitz dared to start translating "The Knight in the Panther's skin" with a deep knowledge of German. Marie Pritwitz continued to have a friendly relationship with Nino Zhuruli even after leaving Georgia. She has sent a number of letters to her Georgian friend, where she warmly mentions the episodes of her visit, especially the days spent in Nino Zhuruli's native village - Arbo.

**Сугаров Давид А.**

*архитектор-градостроитель,  
аспирант ФГБУ «ЦНИИП Минстроя России»  
Москва. Россия.*

## **РАЗВИТИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ВО ВЛАДИКАВКАЗЕ И ТБИЛИСИ КАК ФАКТОР ИХ ГРАДОСТРОИТЕЛЬНОГО ФОРМИРОВАНИЯ: XIX – НАЧАЛО XX ВЕКА**

Промышленное развитие двух исторических городов Владикавказа и Тбилиси – важный экономический аспект начального этапа формирования Грузии и Осетии. История промышленности в обеих ведущих городах и странах определяет собственные пути развития для каждой из них, но находит и общие вехи в их становлении.

Более двух веков крепость-город Владикавказ находится на рубеже Северного Кавказа и Закавказья, при этом занимает наиболее выгодное, центральное положение между городом Тифлисом – на Южном Кавказе и городами Прохладный, Георгиевск, Пятигорск, Ставрополь, Екатеринбург, Петровск, Новороссийск, Ростов-на-Дону, Астрахань – на Северном Кавказе. Развитие капитализма в России после отмены крепостного права способствовало превращению города в административный и торгово-промышленный центр, и в целом росту городского населения. Во Владикавказе сравнительно быстро развивалась промышленность по переработке местного минерального и лесного сырья, сельскохозяйственная, металлургическая, кирпично-черепичная, различные фабрики, а также гончарное, кузнечное, кожевенное и другие ремесла.

К началу XX в. в городе Владикавказ действовало более ста промышленных предприятий. В их числе мельницы, свечные заводы, молзаводы, лесопилки, спиртоводочные, крахмальные, кирпично-

черепичные, известковые, кожевенные, мыловаренные, пивоваренные, масложитные заводы. Кроме этого имелось порядка 900 торговых предприятий.

Промышленность, как градообразующий фактор, несомненно, оказал существенное влияние на развитие торгово-экономического потенциала города. Более того, промышленные предприятия явились основой формирования архитектурно-планировочной структуры и пространственной композиции столичных городов Владикавказ и Тбилиси.

Географическое положение, культурное и политическое сотрудничество позволили установить тесные торгово-экономические и производственно-промышленные связи между городами Владикавказ и Тбилиси. Самобытный город Тбилиси всегда считался крупным центром различных ремесел и промыслов. Во второй половине XVIII века появляются железоплавильные, медноплавильные, пушечные, гончарные, пороховые заводы. А к первой трети XIX века в городе Тбилиси насчитывалось более тысячи мастеровых и промышленников. Ремесленные профессии были весьма многочисленны и удовлетворяли самые разнообразные потребности горожан, казаков окрестных деревень и военных лагерей.

В городе ремесленники располагались на базарах и в гостиных дворах, таким образом процесс производства товара и его торговля были оптимально налажены. Ко второй половине XIX века в городе насчитывалось около 200 мелких предприятий.

На протяжении первых двух десятилетий XX века в контексте технического и технологического прогресса происходило интенсивное формирование городских организмов Владикавказ и Тбилиси. Наравне с новыми успехами в градостроительстве и реконструкции городов в России и Европе, такие крупные и значимые города, возникшие на магистральных путях, как Владикавказ и Тбилиси уже планомерно развивались в аспекте их планировки, застройки и благоустройства. С позиций профессиональных достижений революционной эпохи, более интенсивно происходил процесс формирования архитектурно-планировочной структуры и пространственной композиции столичных городов Владикавказ и Тбилиси.

**Sugarov David A.**

*Architect, town-planner,  
postgraduate student of the Central Institute for Research and  
Design of the Ministry of Construction and Housing and  
Communal Services of the Russian Federation.  
Moscow, Russia.*

## **INDUSTRIAL DEVELOPMENT IN VLADIKAVKAZ AND TBILISI AS A FACTOR OF THEIR URBAN DEVELOPMENT: XIX - BEGINNING OF XX CENTURIES**

The industrial development of the two historic cities of Vladikavkaz and Tbilisi is an important economic aspect of the initial stage of the formation of Georgia and Ossetia. The history of industry in both leading cities and countries determines their development paths for each of them but also finds common milestones in their formation.

For more than two centuries, the fortress-city of Vladikavkaz is located at the border of the North Caucasus and Transcaucasia, while occupying the most advantageous, central position between the city of Tbilisi- in the South Caucasus and the cities of Prokhladny, Georgievsk, Pyatigorsk, Stavropol, Yekaterinodar, Petrovsk, Novorossiysk, Rostov-on-Don, Astrakhan - in the North Caucasus. The development of capitalism in Russia after the abolition of serfdom contributed to the transformation of the city into an administrative and commercial and industrial center, and in general to the growth of the urban population. In Vladikavkaz, the industry for the processing of local mineral and forest raw materials, agricultural, metallurgical, brick and tile, various factories, as well as pottery, blacksmith, leather, and other crafts developed relatively quickly.

By the beginning of the XX century more than a hundred industrial enterprises operating in the city of Vladikavkaz. Among them are mills, candle factories, dairies, sawmills, distilleries, starch, brick and tile, limestone, tanneries, soap, breweries, oil mills. In addition, there were about 900 trade enterprises.

Industry, as a city-forming factor, undoubtedly, had a significant impact on the development of the trade and economic potential of the city. Moreover, industrial enterprises were the basis for the formation of the architectural and planning structure and spatial composition of the capital cities of Vladikavkaz and Tbilisi.

Geographical position, cultural and political cooperation allowed to establish close trade, economic and production, and industrial ties between the cities of Vladikavkaz and Tbilisi. The original city of Tbilisi has always been considered a major center of various crafts and trades. In the second half of the 18th century, iron-smelting, copper-smelting, cannon, pottery, and powder factories appeared. And by the first third of the 19th century, there were more than a thousand artisans and industrialists in the city of Tbilisi. The handicraft professions were very numerous and satisfied the most varied needs of the townspeople, Cossacks of the surrounding villages, and military camps.

In the city, artisans were located in bazaars and living rooms, thus the process of production of goods and its trade were optimally adjusted. By the second half of the 19th century, there were about 200 small businesses in the city.

During the first two decades of the 20th century, in the context of technical and technological progress, the urban organisms of Vladikavkaz and Tbilisi were intensively formed. Along with new successes in urban planning and reconstruction of cities in Russia and Europe, such large and significant cities that have arisen on the main routes, such as Vladikavkaz and Tbilisi, have already systematically developed in terms of their planning, development, and improvement. From the standpoint of the professional achievements of the revolutionary era, the process of formation of the architectural and planning structure and spatial composition of the capital cities of Vladikavkaz and Tbilisi took place more intensively.

## სუხიაშვილი სალომე

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ფილოლოგიის მე-3 კუჩხის დოქტორი  
მცხეთა, საქართველო

## ქართული და ოსური საყოფიერო ზღაპარი კომპარატივისტულ ქრილში

ზღაპარი ფოლკლორისტიკაში და არა მხოლოდ ფოლკლორში ერთ-ერთი უმშვენიერესი სიტყვიერი ქმნილებაა. მასში ძვეს კაცობრიობის ფასეულობები, მართალია, დროთა ცვლილება ზღაპარს ახალი ენერგიით ავსებს, თუმცა ის არ კარგავს მომხიბვლელობას. ზღაპარი ხალხის სულიერი კულტურის ნაწილია. მასში დაძლეულია ცხოვრების მახინჯი მხარეები, ბოროტება, სიცრუე, ძალმომრეობა და სხვა.

ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს საყოფიერო ზღაპარი. როგორც ვიცით, ასეთი ზღაპარი მოგვითხრობს ყოფითი ხასიათის ამბებს. პერსონაჟებად გამოყვანილნი არიან ჩვეულებრივი ადამიანები.

